საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იველაშვილი თინათინ ვლადიმერის ასული

თ. იველაშვილი

იველაშვილი თინათინ ვლადიმერის ასული (დ. 8. VIII. 1948, სოფ. სარო, ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992).

1974 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1979–92 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში. 1992-იდან იყო თსუ-ის მესხეთის ფილიალის პროფესორი, 1994–2005 – ისტორიის ფაკ-ტის დეკანი, 1995–2005 – ეთნოგრაფიის კათედრის გამგე. 2008-იდან არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი.

მისი კვლევის სფეროა ეთნოსოციალური, ეთნორელიგიური ურთიერთობები, რელიგ. კონფესიები, რელიგიური კონფლიქტები და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი და 10-ზე მეტი მონოგრაფია.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000), სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტის მედლით (2015).

თხზ.: საქორწინო წეს-ჩვეულებები სამცხე-ჯავახეთში (XIX ს-ის II ნახ. – XX ს.), თბ., 1987; ქართული ტრადიციული სუფრა და თანამედროვეობა, თბ., 1988; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, თბ., 2005; ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში, თბ., 2009; ეთნიკური უმცირესობები სამცხე-

ჯავახეთში, თბ., 2015 (ქართ. და ინგლ. ენებზე); ქართველები, თბ., 2016 (თანაავტ.).